მარსელ მიტუა:

აკომპანიატორი

პიესა - მონოლოგი

გონგის სამი დარტყმა. ფარდა ჩამოშვებულია. კიდევ სამი დარტყმა, ფარდა იწევა.

სცენა თითქმის ჩაბნელებულია, მაგრამ პროჟექტორის სხივი ანათებს ადგილს მიკროფონთან. სიღრმეში როიალთან ზის აკომპანიატორი. პაუზა.

აკომპანიატორი თითქოს დაბნეულად იღებს სამ აკორდს, მოულოდნელად ჯახუნით ხურავს სახურავს, ნელა გამოდის სიბნელიდან. მას პროჟექტორის სხივი ანათებს. მკვეთრად გადადგამს მიკროფონს განზე და იწყებს ლაპარაკს:

- ქალბატონებო და ბატონებო, გევედრებით, ტაშს ნუ დაუკრავთ და შემდეგაც არ დაუსტვინოთ და არ იხმაუროთ, თუმცა უკმაყოფილონი დარჩებით იმით, რასაც ახლა განგიცხადებთ, ისე კი, გამოცხადება ჩემი როლი არაა... მაგრამ ახლა მარტო ვარ... დირექტორი და რეჟისორი კულისებში ბორგავენ... დიახ, სიტყვას მოჰყვა და, ვერ გამიგია, ნეტა ვინ გასცა გონგის სამჯერ დარტყმისა და ფარდის აწევის ბრძანება? მე, რასაკვირველია, ჩემს ადგილზე ვიჯექი, მე ფულს ამაში მიხდიან... მაგრამ ნამდვილად არ მესმის, ვის შეეძლო ფარდის აწევა. დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, ახლა უკვე დროა გავბედო და განგიცხადოთ: დღეს ის არ იმღერებს. არა, არა, გთხოვთ ნურაფერს იტყვით. თქვენ ახლა ყველაფერს გაიგებთ... ეს განებივრებული კერპის მორიგი ახირება არაა: ის მოკვდა, დიახ, ის მოკვდა, ეს ზუსტად ათი, ანდა, შესაძლოა, შვიდი ან რვა წუთის წინ მოხდა. აი, რატომ არიან დაფეთებულები იქ (კულისებთან უთითებს). დიახ, ის მკვდარია, ვიმედოვნებ, დირექცია ფულს დაგიბრუნებთ... (თითქოს კითხვას პასუხობდეს). გულის შეტევით მოკვდა! ფუ! თქვენ არ იცით, ეს როგორ ხდება: გადაღლა, გასტროლები, მატარებელი, ავტობუსი, სადგურების სასაუზმეებში სავახშმოდ ცივი კერძები მოაქვთ ძილმღვიძარე მორიგეებს, რომელთაც დღისით ნახმარი ჭურჭელი ჯერ არ გაურეცხავთ, საზიზღარი ლოგინი, რომელშიც ძლივს იძინებ, დილის რეპეტიციები გათოშილ დარბაზში, სადაც ორპირი, გამჭოლი ქარი უბერავს მტვერში, როცა შენს წინაშე საზოგადოება კი არა, ჩვრებიანი დამლაგებლებია... აი, რისი ბრალია ეს. ერთი სიტყვით, ის მოკვდა, დიახ! მე კინაღამ დამავიწყდა იმის თქმა, რომ ეს თქვენი ბრალიცაა. შიში. შიში ყოველი გამოსვლის წინ. გული იკუმშება, თავიდან ოდნავ, და რაც უფრო გემატება წლები და, რაც უფრო იხვეჭ და იხვეჭ სახელს, მით უფრო და უფრო ძლიერად იკუმშება ის, ვიდრე - ფაფუ! - საპნის ბუშტივით არ გასკდება. ერთ, აი, დღეს რომაა, ისეთ მშვენიერ დღეს მოხდება ეს. თქვენ ხართ ღორმუცელა, გაუმაძღარი, ასობითთვალიანი და ასობითყურიანი ურჩხული, რომელიც სულ ახალი და ახალი ფერებით უნდა კვებო, თუმცა, ზოგჯერ პირიქით ხდება: ძველი წარმატებებითა და

უკვე განცდილი დიდებით უნდა აპურო. თქვენ როგორ უნდა გეცეკვოთ ადამიანი? ეს არავინ იცის, შიშიც აქედან მოდის, და - კარგად მეყოლე! შიშს თქვენ წარმოშობთ. ქალბატონებო და ბატონებო, თქვენ ისე მადიანად ნთქავთ, ყლაპავთ თქვენს კერპებს, ზოგჯერ ისინი ყელზე გადგებათ, ან გეჩვენებათ, რომ მოდიდან გამოვიდნენ და ერთ ყლუპად მიირთმევთ. ერთ ყლუპად, რომელიც ხან ხუთ წუთს გრძელდება, ზოგჯერ ერთ წუთს, დასტვენასა და გადაჩურჩულებაზე სწრაფად, როცა თქვენ წამით დაგავიწყდათ ტაშის დაკვრა... დიახ-დიახ! ეს სწრაფად ხდება. თქვენი აღტაცება თანდათან ცხრება... და მორჩა! ერთი ქალაქიდან სხვა ქალაქში გადასვლისას, ჯერ იქ ჩასვლამდე გვტანჯავს კითხვა: "ჩვენი აქციების საქმე როგორაა, ისინი მაღლა იწევენ თუ დაბლა ეშვებიან?" გამოვდივართ პარიზიდან, სადაც აფიშაზე მეორე ადგილი გვიჭირავს, მაგრამ ამ ქალაქს მოცილების შემდეგ შეუმჩნევლად ვფერმკრთალდებით და ნიცაში, აფიშაზე უკვე ჟონგლიორის შემდეგ ვწერივართ. წყეული პროფესიაა! როგორ სწრაფად შეიძლება ძირს დაექანოთ მიუზიკ-ჰოლის სადარბაზო შესასვლელის კიბეზე! კოტრიალით! თვალის დახამხამებაში! ერთხელ, მაყურებლები ცუდ გუნებაზე არიან, ჩვენ კი გვეჩვენება, რომ წკიპურტი გვკრეს, მაგრამ ყველაფერი მორჩა, გათავდა, იყო და არა იყო რა! იმის იმედი ნუ გვექნება, რომ დირექტორები, იმპრესარიო და ჟურნალისტები თავის დაძვრენის უფლებას მოგვცემენ... იმათ, ჩვენ რომ კინწისკვრით ჩამოგვაგდეს... ორკესტრის ორმოში, მბობღავი უამრავი სხვა კერპი ჰყავთ... და ყველა გვირგვინახდილს სანაგვე ორმოში გადაუძახებენ. ქალბატონებო და ბატონებო, მეც ერთი იმათგანი გახლავართ, ერთი იმათგანი. დიახ, დიახ... თქვენ ეს გაოცებთ? ვერ მიხსენებთ? არა, ნუ ბოდიშობთ, ეს ხომ ბუნებრივი რამაა. არა,არა, ნუ დაიშლებით, გთხოვთ, დარჩით და არ ინანებთ, მე თქვენ ახლა ისეთ რამეს გეტყვით, რაც გაგართობთ... წუთით დაყოვნდით, მომეცით იმის საშუალება, რომ... მე ხომ ათი წლის მანძილზე პირველად გამოვდივარ მაყურებლების წინაშე... მარტოკა გამოვდივარ... და, შესაძლოა, ეს არც არასოდეს გამეორდეს, ჩუ! დასასრულამდე, იმ "ფაფუმდე!" დიახ, ნება მიბოძეთ ისევ თქვენ გეკუთვნოდეთ, ძვირფასო, ძვირფასო მაყურებლებო! შეეცადეთ, დაიძაბეთ, გაიხსენეთ... ეს ზუსტად ათი წლის წინათ იყო. ათი წლის წინათ, გესმით? და ეს მაშინ სულ ხუთი თუ ექვსი თვე გაგრძელდა... მე ჩეჩოტკის ცეკვის ნომერი მქონდა. (წაუცეკვებს.) და მსუბუქი სიმღერები, იმიტაციები... ლიუსიენ ლიუკი - "მომღერალი-მოცეკვავე"... ვერ გაიხსენეთ? (პაუზა.) ვერა? რასაკვირველია, ვარსკვლავი არ გახლდით და მაინც... თხუთმეტ სექტემბერს, ევიანში შარლ ტარენის გამოსვლის წინ გამომიყვანეს. ისე, სიმართლეს თუ ვიტყვით, შობას უკვე კარკასონში გამოვდიოდი და ბედმა გამიღიმა - შევებრალეთ და ანტრაქტში გამომიყვანეს უცხოელი აკრობატის მაგივრად, რომელსაც ვიზა არ მისცეს. ეს მიუზიკ-ჰოლში იყო! და მას შემდეგ უკვე ათი წელია აკომპანიატორი ვარ. მარტოხელა ადამიანმაც ხომ უნდა ირჩინოს თავი. აკომპანიატორი! არა, ეს შესაშური პროფესია არაა. შიშს - უშიშოდ სცენაზე გამოსვლა შესაძლებელია? - ინაწილებ, მაგრამ აპლოდისმენტებსა და ჰონორარს - არასოდეს. თქვენ ამას სამართლიანობად მიიჩნევთ? და აი, უკვე ათი წელია, ჩრდილში, სცენის მარცხენა მხარეს და პროჟექტორით გაუნათებელი ვდგავარ. პროჟექტორი კი ჩინებული რამაა, თქვენ რომ იცოდეთ, რა ნეტარებაა მისი თბილი სხივების, მისი ალერსის შეგრძნება! ის საკუთარი თავის რწმენით გავსებს... გიჩვენებს, რომ არსებობ, რომ რაღაცას წარმოადგენ.

არა,არა, ნუ წახვალთ, თუნდაც წუთით პროჟექტორის შუქზე დგომის საშუალება მომეცით... წუთით.. ნუ გეშინიათ, მე თქვენ ჩემს ძველ ნომერს არ გიჩვენებთ. არა, არა, სიტყვას გაძლევთ, არ გამოვტვინებულვარ, არა! მთელი ამ ათი წლის მანძილზე როგორ მენატრებოდით, როგორ ვოცნებობდი ისევ თქვენთან, თქვენს პირისპირ ყოფნაზე! სად ესა და სად სცენაზე ცარიელი დარბაზის წინ დგომა? ასე მიწევს ზოგჯერ, როცა ყველანი ჯერ ისევ რესტორანში ვართ, იქიდან გამოვდივარ, ვითომდა ინსტრუმენტის მოსაწესრიგებლად, და მაშინ ბნელ სცენაზე თვალს ვხუჭავ და ვლაპარაკობ... ვლაპარაკობ, როგორც ახლა გელაპარაკებით, ან ვუკრავ, უფრო სწორად, წარმოვიდგენ, რომ ვუკრავ... ფორტეპიანოზე არა, არა. მე ნამდვილად გატაცებით ვთამაშობ. მეჩვენება, რომ ცუდი მსახიობი არა ვარ, დიახ, ვიცი, რომ ყველაფრის თავიდან დაწყება უკვე დაგვიანებულია. მე აკომპანიატორად მოვკვდები... სადმე ლილში, ბავშვთა დილის წარმოდგენაზე, ან მონრეალში, კარს უკან, ანტრაქტის დროს, ის ხომ კერპად მოკვდა, ეს დიდებული სიკვდილია. ახალგაზრდულ ასაკში სიკვდილი კარიერის მწვერვალია, მე კი აკომპანიატორად მოვკვდები, რომელიმე სხვა კერპის აკომპანიატორად... კლავიშები ყველგან ერთნაირია... ნუ წუხხართ, სადმე მოვეწყობი. აკომპანიატორი ხომ პრიმადონაზე უფრო იოლად ეწყობა! მიდიხართ? არა, არ წახვიდეთ... არ წახვიდეთ. მომისმინეთ, რას გეტყვით: ის მე მოვკალი. დიახ! მე ის ათი წუთის წინ მოვკალი. ამ ხელებით დავახრჩე - ფაფუ! ეჰ! და დარწმუნებული ვიყავი... დარწმუნებული ვიყავი, რომ ამის შემდეგ დაბრუნდებოდით. თქვენ ამან შეგაძრწუნათ! იმისთვის, რომ თქვენ შეძრწუნდეთ, საჭიროა, რომ... მოკვლაა საჭირო! ოჰ! შეიძლება თვეების მანძილზე წელი მოიწყვიტოს ადამიანმა, მაგრამ ვერც თქვენს ღიმილს ეღირსოს და ვერც თქვენს ცრემლებს... მე ის მოვკალი, ეს მხოლოდ ყოფითი დრამაა, მაგრამ თქვენ ამაში რაღაცას პოულობთ, რაკი ისევ თქვენს ადგილზე კალათდებით. ოჰ! ვფიქრობ, დღეს წარმატება მერგება. ჰოდა, ეგრე, ის მე მოვკალი. და ამას იმიტომ კი არ ვამბობ, თითქოს ვიპრანჭებოდე. მგონი, აღიარების მოთხოვნილებას ვგრძნობ. თქვენს წინაშე აღიარებისა, იმიტომ, რომ ჩემთან ერთად თქვენც მიგიძღვით ბრალი ამ მკვლელობაში. დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, თქვენ თანამზრახველი, თანამონაწილე ხართ! ნუთუ არ გაგეგებათ, რომ მე ის თქვენი გულისთვის მოვკალი? თქვენ ხომ ტანში ჟრუანტელი გივლით? თქვენ იცით, რომ თქვენი გულისთვის მე ევიანიდან კარკასონში, კარკასონიდან კი აქეთ არ გადმოვეტყორცნეთ, თქვენ რომ არ გეიძულებინეთ მთელი ამ წლის მანძილზე, ამ ბნელი კუთხიდან, მარჯვნიდან მეაკომპანიატორა მისთვის, მკვლელი არასოდეს გავხდებოდი... (იცინის.) მე ვხედავ, რომ თქვენ სინდისი არ გქეჯნით! არც მე მქეჯნის. ერწმუნეთ ჩემს სიტყვას - მას წარმოუდგენლად გაუღიმა ბედმა! ის სრული ტრიუმფის ათი წლის თავზე მოკვდა! ეს იშვიათი შემთხვევაა. და მიუზიკ-ჰოლების წრეებში მაგალითად მოიყვანენ, თქვენ დაინახავთ, ჟურნალისტები რა ჩქარა დაწერენ, რომ ეცოცხლა, წარმატება კიდევ ოცდაათ წელიწადს ექნებოდაო. გესმით? ის "ვარსკვლავად" მოკვდა, მე კი ის გავხდები... ნაფიც მსაჯულთა სხდომაზე. ოჰ! მე ილუზიებს არ ვიქმნი, დიდების მხოლოდ ერთი კვირა მერგუნება, მეტი არა: ერთი მკვლელობა მეორეს იწვევს, და ძალზე ჩქარა იწვევს! მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ, როცა სასამართლო გაიმართება, ჩემს სახელსა და გვარს გაზეთებში დიდი ასოებით დაბეჭდავენ... შემდეგ კი იქუხებს და!.. იქნება არარსებობა, რომლიდანაც გამოვაღწიე. თუმცა, დიდებას არ ირჩევენ... მე უპირატესობას სხვა რამეს - ლიუსიენ ლიუკის დიდებას მივანიჭებდი. თქვენ ეს არ ისურვეთ. თქვენ მე ჩიხში მომამწყვდიეთ, გამაბოროტეთ, მაიძულეთ მიუზიკ-ჰოლის

კერპისათვის მემსახურნა. ჩრდილში ჩრდილად მაქციეთ. რა როლი მქონდა დაკისრებული? პირში ვტენიდი უგემრიელეს საჭმელს, რომელსაც თქვენ გთავაზობდათ... ოღონდ გაცივებულს, იმიტომ, რომ, ჩვენში დარჩეს და, ჩემი აზრით, მას ერთი ბეწო ნიჭიც კი არ ჰქონდა. მე საქმის ცოდნით ვლაპარაკობ - საკმარისად დიდხანს ვიმუშავე მასთან ერთად, მისთვის. ყველაფერი, რასაც კი ის აკეთებდა, ყალბი იყო: მე ეს კარგად ვიცი, იმიტომ, რომ ვეხმარებოდი, ჩემს სამ მოძრაობაში (ჩეჩოტკას ცეკვავს) მეტი შთაგონებაა, ვიდრე მთელ მის კონცერტში. მაგრამ თქვენ მისი წარმოდგენა მოგწონდათ, თქვენ აიყვანეთ ის კვარცხლბეკზე, და მაშინ კი მოვკალი. რატომ? რატომ და იმიტომ, ქალბატონებო და ბატონებო, რომ ყელში მქონდა ამოსული მისი საძილე ვაგონით, ჩემი კი საერთო ვაგონით მგზავრობა. ის, რომ ის დიდებულ სასტუმროში ცხოვრობდა, ხოლო მე ცუდში. ის, რომ თქვენს წინაშე ქედმაღლურად წარმადგენდა ხოლმე, "ჩემი აკომპანიატორია!". მე უკვე არ შემეძლო ატანა მისი თეატრალური ჟესტისა, რომლითაც თვალთმაქცურად უთითებდა ჩემზე, როცა "ბისზე" იძახებდნენ, არ შემეძლო მედიდურობის, გონებაჩლუნგობის, უცერემონიობის, მისი მუდმივი წარმატების ატანა. არ შემეძლო, არ შემეძლო, არ შემეძლო! და, აი, როცა ეს-ესაა მითხრა "გუშინდელზე უკეთეს ფორმაში ყოფნას შეეცადე... ნაკლებ ტაშს მხოლოდ შენს გამო გვიკრავდნენ, ტემპი არ იყოო", მოვკალი, რადგან მეზიზღებოდა... აი, ახლა თქვენ ყველაფერი იცით, ახლა შეგიძლიათ დაიშალოთ. მოუსვით, მოუსვით-მეთქი. რაო? არ მიდიხართ? რატომ? ყველაფერი დამთავრებულია, თქვენ უკვე ყველაფერი იცით. წადით, გევედრებით, გესმით? გთხოვთ,გევედრებით... ანდა, ტაში დაუკარით, ან მისტვინეთ... რამე გააკეთეთ... ჩემს წინ ასე ნუ სხედხართ... დაიშალეთ, დაიშალეთ-მეთქი... (პაუზის შემდეგ უცებ წელში სწორდება, დაძაბული სახე აქვს.) ჰე! მანდ... დაიცადეთ! ერთი წუთით დაიცადეთ... როცა გეუბნებოდით, წადით-მეთქი, ვიპრანჭებოდი, ასე იყო, აბა! დასხედით თქვენს ადგილებზე! ჩემი ყურება რომც გემძიმებოდეთ, მეტიც, გაშინებდეთ კიდეც, მაინც დასხედით.. დიახ... (საათზე იხედება.) იმიტომ, რომ ის არ მომკვდარა. არა, არ მომკვდარა. გეფიცებით. მართლა ვამბობ. ის, თქვენ და მე რომ ვართ, ისეა... და ახლა თქვენთან გამოვა, დიახ, დიახ, სიტყვას გაძლევთ, ახლა იმღერებს.დაივიწყეთ ის,რაც გითხარით...ეს ჩემი ძველი ოცნებები, ზმანებები იყო, მე ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი ბნელ დარბაზებში. დღეს კი, არ ვიცი რატომ, სიტყვებს ენა თვითონ წარმოთქვამდა სხაპასხუპით... მე ვიცოდი რატომაც... იმიტომ, რომ ის... აგვიანებდა... გული სტკიოდა, და მითხრა "სცენაზე გადი და ხალხს რამე დაუკარი, დააყოვნეო". და, აი, აღმოვჩნდი აქ, პროჟექტორის შუქზე - ჩემსკენ მომართული პროჟექტორის შუქზე; ეს თავისთავად მოხდა... მით უარესი, ნუ მაპატიებთ ამას, უბრალოდ დაივიწყეთ. მიბრაზდებით? რასაკვირველია, მიბრაზდებით. დაივიწყეთ, გთხოვთ, არაფერი უთხრათ, იმას ნუ აგებინებთ პასუხს, ჩემი უშნო ხუმრობის გამო. ეს უსამართლობა იქნებოდა. მიუზიკ-ჰოლი მძიმე, თეატრზე მძიმე რამაა. შეიბრალეთ ის, ამღერეთ, ბოლოს და ბოლოს, რა მისი ბრალია, რომ აკომპანიატორს სიგიჟემ შემოუტია... არც მხოლოდ ჩემი ბრალია. თქვენი ბრალია ის, რომ თქვენს გამო გონებას ვკარგავთ, თქვენ არ იცით... ჩუმად, ის, მგონი, მოდის... სულგრძელნი იყავით, ქალბატონებო და ბატონებო... მე თქვენი იმედი მაქვს... შევთანხმდით, ხომ? თქვენ ყველაფერს ივიწყებთ, ფიქრობთ მხოლოდ იმაზე, რომ თქვენს წინაშე თქვენი საყვარელი კაცი დგას... დაინახავთ, რომ დღეს ის განსაკუთრებით კარგად გამოვა... მე კი გტოვებთ. და ძალიან ვნანობ, რომ გტოვებთ... მაგრამ, ისე, ტაში

დაუკარით, მოდის, აგერ ისიც, აგერ... (პროჟექტორის შუქს ეცლება, ინსტრუმენტს მიუჯდება და სიბნელეში, სცენაზე მომღერლის გამოსვლის მაუწყებელ რამდენიმე აკორდს იღებს.).